

ლოქსუმი

გაზეთი გამოდის
1992 წლიდან

ცაგერის სახელი დეპუტატი რაიონული საბჭოს ორგანო

№6 (6381) 15 იანვარი სამშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

სოლიდარობა ლიტვულ ხალხს

მიზინგი საბარში

14 იანვარს „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური ბლოკის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციის ინიციატივით ცაგერში გაიმართა მიტინგი, რომელზეც

განხილული იყო ქვეყანაში არსებული ვითარება. მიტინგის მონაწილეებმა ისაუბრეს იმ პოლიტიკურ სიტუაციაზე, რომელიც ბოლოდროს შეიქმნა რესპუბლიკაში და მთელ კავშირში გა-

მოთქვა მტკიცე პროტესტი სსრკ-პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულებისა და ლიტვაში მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლიანი რბევის გამო. მიტინგმა სოლიდარობა გამოუცხადა ლიტვულ ხალხს თავისუფლებისთვის ბრძოლაში და გადაწყვიტა გაუგზავნოს მ. გორ-

ბაჩოვს საპროტესტო მიმართვა.

მიტინგმა იმსჯელა რაიონში შექმნილ ოპერატიულ ვითარებაზე, მიიღო მიმართვა რაიონის მოსახლეობისადმი.

მიტინგის ორგანიზატორებმა მოუწოდეს ხალხს შეაგრძელოს სურსათ-საბოგო სამაჩაბლოში მყოფი ქართველი მილიციელებისთვის 17 იანვარს, ხუთშაბათს ყვე-

ლას, ვისაც სურვილი აქვს შეუძლია თავისი მცირე ძლევით მაინც მოიტანოს საბოლოო კულტურის სახლში, სადაც ამისათვის სპეციალურად იქნება გამოყოფილი ოთახი. შეგროვილ სურსათს ცხინვალში პარასკევს წაიღებს-მილიციელთა ჯგუფი, რომელიც წესრიგის დასაცავად მიღის იქ.

მიტინგმა მიიღო შესაბამისი რეზოლუციები.

„მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური ბლოკის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაციის მიმართვა

რ ა ი ო ნ ი ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ა დ მ ი

თანამდებარეობს სამშობლო განსაცდელში. გამართლდა ჩვენი ვარაუდი: 5 წლის წინ დაწყებული ფარისევლური საუბარი გარდაქმნა, დემოკრატიისა და თავისუფლებისადმი აღმოჩნდა მხოლოდ და მხოლოდ სატყუარა. იმპერიას არ სურს დეკარტის გემრიელი ლუკმა და ეძნელება რესპუბლიკების ხელიდან გაშვება, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ინგრევა. კრემლს სურს ყველანი ერთად დავიღუპოთ, ძმურად ხელიხელჩადებულნი. ამისათვის იგი არაფერს ერიდება. არც სიცრუეს, დეზინფორმაციას და დემოგოგიას, არც ძალადობას და უხეშ ჩარევას რესპუბლიკების ცხოვრებაში. ამის დასტური იყო პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულება, მისი საშობაო საჩუქარი ქართველი ხალხისადმი. ამ ბრძანებამ გაამხილა ოსი ექსტრემისტები, რომლებიც იმავე დღესვე გადმოვიდნენ შეტევაზე და დახოცეს სამართალდამცავი ორგანოების

მუშაკები. აი, ასე ესმის კრემლს დემოკრატია.

დღეს საქართველო საომარ მდგომარეობაშია. ვითარებაც ძალზე ცვალებადი და ფეთქებადი საშიშია. კრემლი ებრძვის თავისუფლებისათვის მებრძოლ რესპუბლიკებს. საბჭოთა არმიამ კიდევ ერთხელ „ისახლა“ თავი—ამჟერად ლიტვას აღინა სისხლი. მსოფლიოს ახლა ორი ქიშკრა ჰყავს—სადაც ჰუსეინი და მიხეილ გორბაჩოვი. მათი მესაიდუმლო სატანა და მხოლოდ მან თუ იცის, რას მოიმოქმედებს ეს ორი ტირანი ხვალ თუ ზეგ. ამიტომ ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. ჩვენ უნდა ვეშაბდოთ საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობისათვის, როგორც ამას აკეთებს გმირი ლიტველი ხალხი, პატარა, მაგრამ მაშაი ლიტვა. მტერი ვერაფერს და

მზაკვარი, მის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ერთიანობითა და მამაცური შეუდრეკელობით შეიძლება, ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც იქცევინა მემორები—ყოველი ჩვენი ფიქრი და აზრი, საქციელი, მოქმედება შთაგონებული უნდა იყოს სამშობლოს ბედის განცდით. დადგადო, როცა მამულს უნდა დაუშვტკიცოთ მამულშვილობა.

„დღეს გამოჩნდება, ვინ არის გმირი, ვის უფრო გვიყვარს ძმანო მამული!“

გვასოფდეს ფიცი, დადებული 26 მაისს—შევეწირეთ, მაგრამ სამშობლო მტერს არ დავუთმოთ. უკან დახევას ფიქრიც კი დალატია. მოვიქცეთ ისე, რომ ბირნათელი ვიყოთ ქართული ღვთის წინაშე, არ შეგვაჩვენოს შთამომავლობა.

მოგმართავთ ყველას: დაუდგეთ ერთმანეთს მხარში, აღვიკეთ მდგომარეობის მთელი სიმძიმე და ვიმოქმედოთ მის შესაბამისად. მილიცია, რომელიც წესრიგს უნდა იცავდეს მშვიდობიან დროს, ახლა საკუთარი მკერდით იცავს სამშობლოს მთლიანობას, ამიტომ დღეს ქურდობა, ავაჯიკობა, ყაჩაღობა, ძარცვა აღიქმება არა როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, არამედ როგორც ქვეყნისა და ერის ღალატი. ამის პატიება კი არ შეიძლება.

მამული ჩვენგან თავდადებას ითხოვს. ბრძოლა ჯერ მხოლოდ იწყება. ამ ბრძოლის ბედი კი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ერთიანები ვიქნებით ჩვენ ყველანი, რამდენად გავიგებთ ქვეყნის გასაჭირს, რამდენად ვიგრძნობთ მის გულსიცემას. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი

მოსკოვი
კრემლი
სსრკ კავშირის
პრეზიდენტს
მ. გორბაჩოვს

გაცხადებთ მტკიცე პროტესტს ბალტიისპირეთში საბჭოთა არმიის სადესანტო ნაწილების შეყვანისა და ვილნიუსში მშვიდობიან მოსახლეობასთან სისხლიანი ანგარიშსწორების გამო. ვერაფერი არმია. ვერაფერითაა ძალადობა ვერ შეძლებს ჩაახშოს გმირი ლიტველი ხალხის სწრაფვა თავისუფლებისაკენ, თქვენ კი მთელი ქართველობის თვალში საყოველთაოდ გაიტყვეთ სახელი. თქვენ, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი, სისხლიან კვალს ტოვებთ ყველგან არ იქმარეთ თბილისი, ბაქო, როგორც ჩანს, ვილნიუსიც არ იქნება თქვენი ბოლო მსხვერპლი. გონს მოეგეთ, ბატონო პრეზიდენტო! ძალადობა ყოველთვის როდია გამოსავალი.

ჩვენ, ქართველობა, მხარს ვუჭერთ ლიტველი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის და სოლიდარობას ვუცხადებთ მას ბრძოლაში.

გაუმარჯოს თავისუფალ ლიტვას!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

„მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური ბლოკის ლეჩხუმის რეგიონალური ორგანიზაცია

სიმართლე გაიმარჯვებს

კიდევ ერთი ბარბაროსული აქტი ჩაიდინეს გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიის ნიშნით მოვლენილმა რეაქციულმა ძალებმა.

იყო აშკარა ცდა შეიარაღებული ძალის გამოყენებით ლიტვაში დემოკრატიული წესით არჩეული პარლამენტის (უზენაესი ხელისუფლების) გადაყენებისა და მის ადგილზე ე. წ. ეროვნული ხსნის (ანუ ეროვნული ღალატის) კომიტეტისათვის საპრეზიდენტო მმართველობის წყალობით ძალაუფლების გადაცემისა.

ცივილიზაციის რუდუნებაში აქტიურად ჩაბმული, პატრიოტი ლიტველი ხალხი იბრძვის თავისუფლები მოპოვებისათვის. მართალია, ამ უშედევაო ბრძოლაში უკვე არის უდანაშაუ-

ლო ადამიანების მსხვერპლი, მაგრამ მჭერა, დარწმუნებული ვარ, რომ ლიტვას ვერა და ვერ დააჩოქებენ.

„შეიარაღებული ბარბაროსების მხარეზე ტანკები, რაკეტები, სხვადასხვაგვარი მომწამვლელი გაზები, ხელკეტები, ორღესული ნიჩბები.

ხოლო უიარაღო, მშვიდობიანი, ჰუმანარტებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ლიტველების მხარეზე კი სიმართლე, მთელი ცივილიზებული მსოფლიოს ხალხები, ღმერთი და ხატი. ვნახოთ ვინც გაიმარჯვებს.

სამხედრო სამსახურის გარკვეული პერიოდი ბალტიისპირე-

თში მაქვს გატარებული, გარკვეულწილად ვიცი ლიტველთა ხასიათი, მათი მაღალი კულტურა და რაც მთავარია, ქართული ერისადმი უდიდესი მოკრძალება და პატივისცემა.

გულწრფელად ვუპერ მხარს ლიტველთა ეთიკური ვრძოლის სამართლიანობის მოპოვებისათვის, დაკარგული თავისუფლების აღდგენისათვის.

იმ ქაღალდების ადგილი, რომლებიც ასეთ საძაგლოებს ჩადიან მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, ნამდვილად არ არის ცივილიზებულ ლიტვასა და საქართველოში. მათ სადამ პუსეინის არმიაში უნდა იმსახურონ.

დღევანდელი მოვლენები ლი-

ტვაში არ არის გამორიცხული ჯაჭვური რეაქციით გავრცელდეს სხვა რესპუბლიკებში (მათ შორის საქართველოშიც). ჩვენს ძირძველ მიწაზე, სამაჩაბლოში უკვე კარგა ხანია ბოზოქრობს ხანძარი, იღუპებიან ჩვენი ძმები და დები.

ამ კრიტიკულ მომენტში არამც და არამც არ უნდა დავუშვათ საქართველოში კრემლის დასაყრდენი ძალების მოქმედება. დღეს, როგორც არასდროს ისე გვჭირდება საერთო ძალისხმევა, ერთიანობა, მხოლოდ და მხოლოდ ერთიანობაშია გზა ხსნისა.

ბ. კვირკაშვილი, საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

პრობლემატიკა

საგარეო

კავშირის

პრეზიდენტის

გორბაჩოვის

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრის რაიონის სახალხო განათლების მუშაკები უზომოდ აღწერილი და გაკვირვებული ვართ საქართველოს რესპუბლიკისადმი თქვენგან გამოცემული ბრძანების გამო.

ნობელის პრემიის მფლობელს უფლება არა გაქვთ თავისუფლების გზები ჩაგვიკეტოთ. გვჯერა, რომ ხალხის ნებას კვლავაც გაუწევთ ანგარიშს და კი არ აგვიკრძალავთ, არამედ დაგვეხმარებოდით სუვერენული უფლებების

დაბრუნებასა და დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით. საქართველოს რესპუბლიკის ცენტრის რაიონის სახალხო განათლების მუშაკები.

პრობლემატიკა

გ.გ.ა.

სსრსა

10 იანვარს ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოში, მიტინგს საწარმოს 100-მდე მუშა-მოსამსახურე დაესწრო. მათ დაგმეს სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება, როგორც სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. საქმეებში უხეშად ჩარევა და ერთსულოვნად დაუპირეს მხარი საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 იანვრის საგანგებოდ მოწვეული სესიის გადაწყვეტილებას.

საწარმოს მშრომლებმა ერთსულოვნად მხარდაჭერა და მხადყოფნა გამოხატეს ყველა იმ გადაწყვეტილებათა მიმართ, რასაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მიიღებს.

ახლა მტყუნისა და მართლის გასარჩევად არავის სცალია, მხოლოდ ერთმანეთის თანადგომა და ერთიანობაშია გზა ხსენისა, ერთსულოვნად აღნიშნეს მიტინგის მონაწილეებმა და აქვე შეიმუშავეს დეპუტატების ტექსტი პრეზიდენტის სახელზე მოსკოვში გასაგზავნად.

მრისტიკობას ყველა-ქრისტიანს ულოცავენ. ქართველებსაც არ დაგვავლო ეს „პატივი“ სხვა მრავალ „პატივთან“ ერთად სსრ კავშირის პრეზიდენტმა და „ღირსეულად“ მოგვილოცა.

გორბაჩოვი და კრემლის დამკვეთი ყოველ ღონეს მიმართავენ ბოროტების იმპერიის შესანარჩუნებლად, მაგრამ ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ხომ გრძნობს და ხედავს, რომ იმპერია არსებობის უკანასკნელ სტადიაშია. ბოლოსდაბოლოს ყველაფერს აქვს დასასრული, მითუმეტეს ბოროტებს. რატომ უნდა იჩაგრებოდეს საქართველოში ქართველი?

ცაგერის რაიონის სამედიცინო საზოგადოების 300-ზე მეტი წევრი შეიკრიბა მიტინგზე და სერბიოზული შემთხვევა გამოთქვა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების გამო.

მიტინგის მონაწილეებმა დაგმეს პრეზიდენტის ბრძანებულება. იგი მიიჩნევენ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ უხეშ ჩარევად, ქართველი ხალხის შეურაცხყოფად. ჩვენ ბოლომდე არასდროს გვჯეროდა ცენტრის დემოკრატიის თამაშისა-ბოქსის მიტინგზე, მაგრამ ახლა რაც ხდება ცენტრიდან, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. არავის არ აქვს უფლება ავტორიტეტის

გორბაჩოვის დეკრეტი

—ნუთუ ჩვენი ასეთი კეთილგანწყობილების გამო, ყველა ერის მიმართ რომ გამოვიჩინეთ, ვინც ჩვენს მიწაზე დაიდო ბინა, გამრავლდა და გაბატონებულა ლამობს? არა! ასე არ გამოვა.

7 იანვარს გორბაჩოვის ბრძანებულება ეს არის ჩვენი სუვერენული სახელმწიფოს, მრავალტანჯული საქართველოს წინააღმდეგ მიმართული უხეშ ჩარევა.

ყველას კარგად მოგეხსენებათ რომ როცა ქართველები ბიძალას

გვითხულობდით, იმ დროს რუსეთში რაიმე სახელმწიფოებრიობა არ არსებობდა. ისინი ხომ ჩვენთან შედარებით მთელი 7 საუკუნის დავიანებით ეზიარნენ ქრისტიანობას. ასე რომ, კარგად წაიკითხონ ჩვენი ისტორია და სწორად გაიგონ.

ე. წ. ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებით ხომ ის დიდი სიმამხინჯე გასწორდა, პირსისხლიანმა ბოლშევიკებმა რომ მოიგ-

ონეს საქართველოს დასაშლელად. ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბრიდან საქართველოს ცხოვრებაში დადგა პერიოდი, როგორიც იდგა ივერიაში, როცა მეფობდა ქართლის მეფე მეფე ადურკი, როცა იშვა იესო ქრისტე, რაც მოასწავებდა, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს „ხსნასა ეშმაკისაგან საქართველოსისა“. იგივე იესო ქრისტე მაცხოვარი იყოს ჩვენი, სრულიად საქართველოს მფარველი! ამინ!

ნაილი ჩაპვაძე.

საქართველოს მთლიანობისათვის

წინაპართა სისხლით მორწყული მიწის დაცვა და მოვლა-პატრონობა. სამაჩაბლო ძირძველი ქართული მიწა, ჩვენი წინაპრების ძვლებითაა გაპოხიერებული და ყოველი ქართველისათვის მისი ერთი გოჭი ქვეყნიერების ტოლფასია. ეყო საქართველოს ტანჯულ სხეულს დაფლულთა-განიაგება. დღეის შემდეგ მის ერთ მტკაველსაც არავის დაუფლობთ და თუ საჭირო გახდება, ვიბრძოლებთ ამისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს საქართვე-

ლოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის დადგენილება, რომელიც საქართველოს პარლამენტის 7 იანვრის უსაფუძვლო, არასამართლიან ბრძანებულებას.

საქართველოს მთა ყოველთვის გამოირჩეოდა საქვეყნო საქმისადმი ერთგულებით, თავდადებით, ვაჟაკობით და თუ საჭირო გახდება ცაგერის რაიონის სამედიცინო საზოგადოება დაემატეცებთ, რომ ჩვენი წინაპრების ღირსეული შთამომავლები ვართ. მთლიანად ვენდობით ჩვენს მიერ არჩეულ ეროვნულ პარლამენტს, გვჯერა, რომ იგი არ დაუშვებს მის სამი-

ნაო საქმეებში ცენტრის უხეშ ჩარევას და ბოლომდე იბრძოლებს ქართული მიწის, ქართველი ხალხის უფლებების დასაცავად. ჩვენ ყველანი მრავალპარტიული პარლამენტის, მისი მეათეობის ზვიად გამსახურდიას გვერდში ვართ. გვჯერა ქართველი ერი არავის აპატიებს საქართველოს ხელყოფას.

ნ. შუბაძე, მის მოვალეობის შემსრულებელი.

ასეთი მიტინგები ბევრ საწარმო-ორგანიზაციაში ჩატარდა და ტარდება.

ვეტერანთა

კოოპერატივები

ჯამლგომი ორგანოების დადგენილებით ომისა და შრომის ვეტერანთა საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმის, მათი მატერიალური უზრუნველყოფისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ვეტერანთა საქალაქო და რაიონულ საბჭოებთან იქმნება ვეტერანთა კოოპერატივები.

ვეტერანთა კოოპერატივები იქმნ. მოქმედი და ახლად შექმნილი კოოპერატივების ბაზაზე მოქმედი დებულების შესაბამისად.

ვეტერანთა საბჭოებთან შექმნილი კოოპერატივებისათვის დაწესებულია მთელი რიგი შეღავათები. იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივში გაერთიანებულ წევრთა 70 პროცენტი პენსიონერია, ასეთი კოოპერატივები მთლიანად თავიუფლდებიან მოგების,

ბრუნვის და სხვა სახის გადასახადებისაგან.

სახელმწიფო მომარაგების კომიტეტმა დაუზავა ყველა მატერიალური მომარაგების ორგანიზაციებს დირექტივა და დაავალა მათ განახორციელონ შეღავათები ვეტერანთა კოოპერატივების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგების საქმეში.

ვეტერანთა საბჭოებთან შექმნილ კოოპერატივებს ექმნებათ ხელსაყრელი პირობები ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

კოოპერატივის გახსნის მსურველებმა უნდა მიმართონ ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონულ საბჭოს.

ლ. ჩიქოვანი,

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

ბუნებაში ყველას და ყველაფერს თავისი პატრონი ჰყავს. ზოგს სახელმწიფო ეპატრონება, ზოგს გარკვეული პიროვნებები. მაგრამ ვინც არ უნდა ეპატრონებოდეს ბუნების მიერ მომადლებულ სიმდიდრეს, ჩემი აზრით, იგი ვალდებულია გონივრულად და ადამიანის სასიკეთოდ გამოიყენოს იგი.

ამჯერად ყურადღება მივნივა გავამახვილო მინერალური წყლებზე, რითაც ლეჩხუმის საოცრად მდიდარია. მინერალური წყლების სიმდიდრე ბუნების წყალობაა და ჩვენც ნუ დავკარგავთ, ნუ უგულვებელყოფთ მას. რაც შეეხება მის მოხმარებას, იგი ისე უნდა წარიმართოს, რომ პირველ რიგში ადამიანის მოუტანოს სარგებლობა როგორც სამკურნალო ისე სხვა მხრივაც. თუნდაც ეკონომიურად თუ კი შესაძლებელია. მინერალური წყლების დებეტი ისე უნდა გაიზარდოს, რომ მოხდეს მისი სამრეწველო ჩამოსხმა დიდი რაოდენობით და რეალიზაცია ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. საკითხი კი ისე დგას და ისეთი პერსპექტიულია ამ წყლების

ჩამოსხმა, რომ სულ მოკლე დროში შეიძლება უცხოელ-ებმავალუტითაც კი შეიძინონ იგი. სწორედ ამას ვითვალისწინებთ ცაგერის ღვინის ქარხანაში, როცა გადაწყვიტეთ აღნიშნული წყლების

მივხედოთ

ბუნებრივ

სიმდიდრეს

ჩამოსხმას სამრეწველო ხასიათი მიეცეთ და რაიონმა მოგება და სახელი ნახოს. მე მგონია ჩვენი საქმიანობით კონკურენციას არ გავუწევთ არავის, პირიქით, მხარში ამოვუდგებით იმ ორგანიზაციას, რომელმაც აღნიშნული საქმე წამოიწყო ჩვენ საქმარისი ფინანსური და ტექნიკური შეიარაღება გვაქვს, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტოთ, მხოლოდ საჭიროა მხარდაჭერა და დროულად საქმეზე ზრუნვა. ამ საკითხით დიდადა დაინტერესებული თბილის-

ში „სამტრესტის“ ხელმძღვანელობაც.

მინერალური წყლების ჩვენს ქარხანაში ჩამოსხმას ასე დაბეჯითებით იმიტომ მოვითხოვთ, რომ ვატყობ ზოგს ეს ჩვენს საქმიანობაში მეორეხარისხოვნად მიაჩნია, ეს ნაწილობრივ სწორიცაა, მაგრამ დარწმუნებული იყავით ჩვენ ღვინის ისედაც მივხედავთ.

ჩვენც და ჩვენს ხელმძღვანელობას „სამტრესტში“ გვსურს ღვინის ჩამოსხმის საქმე მინერალური წყლების ჩამოსხმით დავიწყოთ, რადგან ღვინის ჩამოსხმა ბოთლებში უფრო პრობლემური საკითხია. ჩამოსხმადე ღვინო საჭიროებს სპეციალურ დამუშავებას, რაც შეეხება მინერალურ წყალს, მისი ჩამოსხმის დაწყება უფრო ადვილია. იგი მხოლოდ ხელს შეუწყობს ღვინის ჩამოსხმის დაწყებას, რადგან ღვინო და ჩვენი სხვა პროდუქტები უნდა ჩამოიხსას იმავე ხაზით, რომლითაც წყლის ჩამოსხმას დაიწყებთ.

წ. ახვლედიანი, ცაგერის ღვინის ქარხნის მთავარი მფლობელი.

მსოფლიო პირველი გიგანტური

საბჭოთა კავშირში ახალი საკვები კულტურა ამარაღა 4 წლის ისტორიას ითვლის. იგი ჩვენს რესპუბლიკაში პირველად შარშან დაინერგა.

ამარაღის მთავარი უპირატესობა როგორც მწვანე მასის, ასევე მარცვლის უზომო საფარშია. იგი ხასიათდება მაღალი კვებითი ღირებულებით. ამარაღი მსოფლიო მცენარეულობაში შორის უაღრესად გავლენიან და ცილის მაღალი შემცველობის კულტურად ითვლება.

ამ მცენარისადმი მკვლევართა ინტერესი 1972 წლიდან გაფართოვდა, როდესაც ავსტრალიელმა მე-

მასტაბით მის შესასწავლად, ჯაფუქლიანად დავამუშავე მის ირგვლივ არსებული მთელი ლიტერატურა და გადავწყვიტე მისი რესპუბლიკაში შემოტანა.

ამარაღი ძლიერ მზარდი, ერთწლიანი მცენარეა, იზრდება 3-4 მეტრამდე. ერთი მცენარე იწვევს 30-35 კგ. მწვანე მასას, 1000-მდე ფოთლოს და 100000 მდე თესვს—მარცვალს.

ამ მცენარეს არ ეკარება არც ერთი მავნებელი და დაავადება. ადვილად ეგუება ყოველგვარ გარემო პირობებს და მოდის ყველგან, სადაც სხვა კულტურა არ ხარობს, არის უაღრესად გვა-

ბული საკვების გარეშე, რაც სულზე მისწრება ჩვენი მეცხოველობისათვის.

ამარაღის გრძელვადიანი შეიცავს 0,50 საკვებ ერთეულს და წარმოადგენს კარგ დანამატს სხვა სახის საკვების გასაუმჯობესებლად, რომელშიც დეფიციტია მონ. ელემენტი ცილა.

მარცვლის 10-პროცენტიანი ხორბლის ფქვილიდან დამატებით მიიღება მაღალი ხარისხის პური და ფუნთუშეული, რითაც აშშ-ში ბავშვს კვებავენ. ამიტომ კარგი იქნება, თუ მომავალში ამარაღი გავრცელდება არა მარტო როგორც საკვები, არამედ როგორც სამარცვლე კულტურაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამარაღის მარცვლისგან ამზადებენ ზეთსაც, რომელსაც 29 დასახელების სამკურნალო პრეპარატის დასამზადებლად იყენებენ.

ერთი კილოგრამი ამარაღის ზეთის საექსპორტო ღირებულება 97 დოლარია. ზოგიერთ ქვეყანაში შექტარი ამარაღის პლანტაციისგან 90000 მანეთ მოგებას ღებულობენ. ამ ანგარიშით 100 ჰა—ამარაღის ნათესიდან შესაძლებელია ერთი მილიონი დოლარი შემოსავალი მივიღოთ. ამიტომ ამ საკითხს კარგად უნდა ჩავუფიქროდეთ, ამ მცენარის მოვლა-მოყვანით უნდა დაინტერესდნენ სპეციალისტები.

რესპუბლიკაში აუზრაცხელი დამლაშებული მიწები გვაქვს, ასევე ბევრია ურწყავი, გამოუყენებელი ფართობები, მათი ამოქმედება ამარაღის საშუალებით და ხალხის გამსახურება ჩაყენება უდიდესი რეზერვია რესპუბლიკისათვის როგორც მარცვლეულის, ისე მეცხოველეობის საკვები ბაზის განსამტკიცებლად.

ფეხბედნიერი უნდა აღმოჩნდეს უნივერსალური კულტურა ამარაღი ქართულ მიწაზე.

უზანგ ჯიგლაშვილი.

სიღნაღის რაიონის წნორის მეხოცეული მეძროხეობის კომპლექსის დირექტორს მოადგილე სამეცნიერო დარგში, საკავშირო ასოციაცია „ამარაღი“ წევრი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

შენიშვნა. საბჭოთა კავშირში მცირე კერძო საწარმოების მოქნილი და განუყოფელი ქსელის შექმნა ხელს შეუწყობს სამრეწველო საწარმოთა სწრაფ ზრდას ვინაიდან მცირე ბიზნესს უნარი შესწევს საუფროდელი ჩაუყაროს ადგილობრივი მრეწველობის აღორძინებას. ამის შესახებ განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ვერნერ ზენგერბერგერმა, რომლის ხელმძღვანელობითაც მეცნიერულმა ჯგუფმა ჩატარა გამოკვლევა მოწინავე ინდუსტრიული ქვეყნების მეურნეობაში სტრუქტურაში მცირე და საშუალო საწარმოთა როლისა და ადგილის შესახებ.

დასავლეთში მცირე საწარმოთა მძაფრი ზრდა აღინიშნა 70-იანი წლების შუა ხანებში. მეტწილად ეს იყო შრომის ბაზრის პასუხი უმუშევრობის ზრდისადმი. მცირე ფირმები მაშინ წაწილობრივ დაეხმარნენ ამ სერიოზული სოციალური პრობლემის სიმწვავეს შესუსტებას და მრავალი საშუალო ადგილი შექმნეს. მაგრამ ამავდროულად მათ ეკონომიკას მიაჩნტეს დიდი მოქნილობა, ხელი შეუწყვეს წარმოების სპეციალიზაციას და ბაზარზე უფრო მრავალფეროვანი ასორტიმენტის საქონლის გამოჩენას.

მაგრამ გამოკვლევამ აგვიჩვენა, რომ 15-20-კაციანი საწარმოები მეტად გაუჭირდებოდათ მარტოხელეებს კონკურენტულ ბრძოლაში უფრო მძლავრ მეტოქეებთან. მრეწველობის მსხვილ განვითარებულ მცირე ფირმებში 30-დან 70 პროცენტი თავისი არსებობის პირველ ხუთ წელში-

ადამიერ კორპორაცია. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მცირე ბიზნესი მომავალი არა აქვს, აღინიშნა ზენგერბერგერმა. მცირე საწარმოებს წარმატებით შეუძლიათ მუშაობა, თუ გამოიყენებენ თავიანთ ეკონომიკურ უპირატესობებს. მაგრამ ამისათვის მათ შორის უნდა შეიქმნას ჰორიზონტალური კავშირების სისტემა, მაგალითად ორგანიზაციების ყველაზე უფრო სინტერესო მაგალითი არსებობს იტალიაში, სადაც სწორედ მცირე ფირმებმა უზრუნველყვეს უკანასკნელ თველელში გვირგვინი სწრაფი ეკონომიკური ზრდა.

როგორ მოქმედებს ეს ეკონომიკური სტრუქტურა? რამდენიმე ათეული მცირე საწარმო კავშირს ამყარებს რომელიმე ერთი სახის საქონლის საწარმოებლად. ტერიტორიულად კონცენტრირდებიან და ქმნიან ზონებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია დიდი კორპორაციების უპირატესობა. შერწყმა—საფინანსო საქმიანობის კოორდინაცია, ერთობლივი მეცნიერული ნამუშევრები ახალი სახის პროდუქტოზე გადასვლით შესაძლებლობა—მცირე და საშუალო ფირმების მოქნილი და მაღალი ხარისხის სპეციალიზაცია.

საბჭოთა კავშირშიც შეიძლება და დავიწყო ანალოგიური ზონების ჩამოყალიბება ადგილებზე ტრადიციული საწარმოების აღორძინების გზით, რომლებიც შეინარჩუნებენ თავისი უდიდესი რეზერვების უზენაეს სპეციალიზაციას, სწავლებას და მომზადებით, მცირე კერძო ფირმებს მიანიჭონ უდიდესი ხელის შეწყობის რეჟიმი.

მ მ მ რ კ ნ ღ ე

ახალი უნივერსალური კულტურა

ცნირება დ. დაუნტონმა დაადგინა, რომ ის მიეკუთვნება იმ კულტურათა რიცხვს, რომელნიც ხასიათდებიან მაღალინტენსიური ფოტოსინთეზით და ქმნიან დიდი რაოდენობის ადვილად ასათვისებელ ცილას, რომელიც მდიდარია ლიზინით, მეთიონებით და ტრიპტოფანით.

1975 წელს აშშ-ის ნაციონალურმა სამეცნიერო აკადემიამ ამარაღი ჩართო იმ კულტურათა რიცხვში, რომელთაც აქვთ უდიდესი მნიშვნელობა საკვები პრობლემების გადაწყვეტაში. ამარაღი საბჭოთა კავშირში ოთხი წლის წინათ შემოვიდა და ამჟამად მისი ფართობი 2000.000 ჰექტარს შეადგენს. სწრაფი ტემპით ვრცელდება იგი ყირგიზეთში, ბელოროსიაში, ალბანის მხარეში და სხვაგან.

ჩვენს რესპუბლიკაში ეს მცენარე პირველად წნორის მეცხოველეობის კომპლექსში დაითესა 9000 ჰექტარზე, სადაც ამჟამად მიმდინარეობს მისი მრავალმხრივი მეცნიერული დაკვირვება და შექმნა.

პირადად მე ამ კულტურით 1989 წელს ქ. კაზანში საკავშირო სემინარის დროს დავინტერესდი. შემდგომ ვიმოგზაურე კავშირის

ლვაგამდელ, სწრაფად მზარდი, წელიწადში სამჯერ ითიბება, გამოირჩევა მწვანე მასის და მარცვლის მაღალი მოსავლით. შეიცავს მაღალ კვებით ღირებულებას, სამჯერ ნაკლებ წყალს სარგავს, ვიდრე პარკოსნები და ორჯერ ნაკლებს, ვიდრე მარცვლოვანები. ეფექტიანად იყენებს აზოტოვან სასუქებს და მზის ენერგიას. ითვლება გარემოსათვის ფიტომელორატორად, ხოლო დამლაშებელი ნიადაგებისთვის — ბიომელორატორად.

ამარაღი მაღალპროდუქტიული კულტურაა, 2-3 ნათიბი ჰექტარზე 2500-3000 ცენტნერ მწვანე მასას და 60 ცენტნერამდე მარცვალს იძლევა.

იგი საუკეთესო საკვებია მსხვილფეხა პირუტყვის, ღორის, ცხვრის, ფრინველისათვის, განსაკუთრებით მომგებიანი ღორისთვის. იგი იძლევა 40 პროცენტ კომბინირებული საკვების ეკონომიას, ამ საკვებით გამოყვებილი გოჭების წონამატი დღეღამეში 460 გრამს შეადგენს, იონჯათი კვებისას კი—260 გრამს.

ამარაღითი მთელი წლის განმავლობაში შეგვიძლია შევინახოთ ყველა სახეობის პირუტყვი და ფრინველი ყოველგვარი კომბინირებული და კონცენტრირე-

ჩვენნი სარედაქციო ფოსტოები

სიტომო, სიკეთე და გულისხმიერება ყველა ადამიანს გვსიამოვნებს, მაგრამ იგი ყველაზე მეტად ბავშვებისთვისაა აუცილებელი.

სწორედ სათნო და კეთილშობილებით სავსე ქალია ტვიშის საბავშვო ბაღის გამგე ნელი ბანძელაძე, „ვისაც გაჭირვება არ გამოუცდია, სხვისი ჭირი არად უღირსო“—ნათქვამია. თავად ჭირგამოვლილი, ყოველთვის სხვისი ჭირის თანაზიარი და თანამდგომია.

ბაღის მთლიანი კოლექტივიც ისეთია, როგორც ქალბატონი ნელი, პედაგოგები თინა ჩაქვეტაძე, თამარ ახვლედიანი, მომვლელი ლია ჩიქოვანი, მზარეულები ციკო მიქაუტაძე თუ ქუჩუნა ნემსწვრიძე და სხვები გულლიად, თბილად და

თბილი, მგრძნობიარე გული

ტკბილად ხედებიან პატარებს, მათაც აქვთ მოუხარი-ათ ყოველ დღე.

ამის მოწმეა თვით ჩვენი ოჯახი, ჩვენი შვილიშვილი გიორგი მღვდელაძე 2 წლის იყო, როცა მამა დაეღუპა და მამის სიტბოს მოკლებულმა ქუთაისიდან დროებით ბებიასთან და ბაბუასთან დაიდო ბინა. პატარა გიორგი ტვიშის საბავშვო ბაღში მივიყვანეთ, იგი თავიდანვე გულში ჩაიკრეს,

მშობლიური ზრუნვა აგრძნობინეს, ყოველგვარ პირობებს უქმნიან, რომ თბილი და ტკბილი გარემო შეუქმნან, ობლობა არ იგრძნოს და მთავარი ის კი არაა, რომ ჩვენს შვილიშვილს აქცევინ ასე მზრუნველობით, არამედ ის, რომ აქ ყველა პატარა ლაღად და თავისუფლად, როგორც მშობლიურ გარემოში ისე გრძნობს თავს.

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ახალი წელი მივულოცოთ ნელი ბანძელაძეს და საბავშვო ბაღის თითოეულ თანამშრომელს. წარმატებებს ვუსურვებთ მათ ამ კეთილშობილურ საქმიანობაში.

მარგო, ჯანიკო
მიქაუტაძეები.
სოფ. ტვიში.



პარმ. შარშანდელი წელიწადი ეძღვნა მასწავლებლის ტატიანა ფირისანათვის მნიშვნელოვანი იმით, რომ იგი გახდა სასურსათო მაღაზიის მფლობელი. მან სასტუმროსთან შეიძინა დიდი ხნით მიტოვებული, გამოცარიელებული შენობა, რომი ათას მანეთად, დედასთან და მეგობართან ეღირებოდა. ხოლო თავისთან ერთად შექმნა მცირე საწარმო, სადაც ამჟამად დასაწყობდა უწევს ნათესავები და მეგობრები. არჩევანი ჯერ დიდი არ არის: პური, რძე, ასანთი, ყოველდღიური მოთხოვნილებები: სხვა ზოგიერთი საქონელი. ყველაფერი სახელმწიფო ფაქტბზი იყიდება, საწარმოს განკარგულებაში რჩება მხოლოდ საგაჭრო დარიცხვა.

ახლა ტატიანა ხელმეორედებს დებს კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან პროდუქტების მოწოდებაზე.

ბევრი ძალა და საშუალება დასჭირდება ტატიანა ფირისანს, რომ შეარემონტოს თავისი მაღაზია ამ კვადრატული მეტრი საგაჭრო დარბაზით, მიაშენოს სასაწყობო სათავსოები, გაზარდოს პროდუქტების შემოტანა. მაგრამ ის ოპტიმიზმით სავსეა.

სურათში: ტატიანა ფირისანი—მაღაზიის შემატრონე.
ა. სედლენიკოვის ფოტო.
საქდესის ფოტოქრონიკა.

